საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 116/ს
09/03/2023

116-21-4-202303091521

ქ. ფოთში, ფალიაშვილის ქ. №6-ში შპს „ესპერანსის“ ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ესპერანსის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. ფოთში, ფალიაშვილის ქ. №6-ში ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნავთობპროდუქტების საცავი მოწყობილია ქ. ფოთში, ფალიაშვილის ქ. №6-ში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 04.01.20.042). ნავთობპროდუქტების რეზერვუარის განთავსების წერტილის GPS კოორდინატებია: X-720848, Y-4672665. უახლოესი საცხოვრებელი სახლი ნავთობპროდუქტების რეზერვუარიდან დაშორებულია 350 მეტრით.

2023 წლის 21 თებერვალს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ესპერანსის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79^7-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №076688 ოქმი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია ავტომანქანების გადატვირთვის ტერმინალი, სადაც ხორციელდება იმპორტირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოტანა. კომპანიის მიერ შიდა მოხმარების მიზნით მოწყობილია დიზელის საწვავისათვის განკუთვნილი 16 $მ^3$ მოცულობის მიწისზედა რეზერვუარი, რომელიც აღჭურვილია სასუნთქი სარქველით (სიმაღლე 3 მ, დიამეტრი 0.1 მ) და საწვავმარიგებელი სვეტით. რეზერვუარი განთავსებულია ბეტონის დგარზე. ობიექტზე საწვავის მიღება ხდება ავტოცისტერნების საშუალებით, რომელიც გადაიტანება მიწისზედა რეზერვუარში და მიეწოდება ავტოგასამართ სვეტს. დოკუმენტის თანახმად, ობიექტზე გათვალისწინებულია წლიურად 192 $მ^3$ დიზელის რეალიზაცია. ობიექტის სამუშაო რეჟიმია 365 დღე, დღე-ღამეში 24 საათი და დასაქმებულია 1 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ობიექტის ექსპლუატაციის დროს ადგილი აქვს საწარმოს უბანზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. ობიექტის მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებას

წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება ავტოცისტერნებიდან რეზერვუარში ნავთობპროდუქტების მიღება/გაცემისას. აღსანიშნავია, რომ ობიექტის ექსპლუატაციისას წარმოქმნილი გაფრქვევები მცირე მოცულობისაა. დაგეგმილი საქმიანობის მცირე მასშტაბის გათვალისწინებით (16 $მ^3$), ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ობიექტის ფუნქციონირება არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე არ არის გათვალისწინებული ხმაურწარმომქმნელი მანქანა-დანადგარების განთავსება და გამოყენება. ობიექტზე ხმაურის წარმოქმნა შესაძლებელია მხოლოდ ავტოტრანსპორტის გადაადგილებით, საწვავის შემოტანა/შენახვისა და ავტომობილების გამართვის დროს. დოკუმენტის თანახმად, ობიექტის ფუნქციონირების დროს ხმაურის გავრცელების დასაშვები დონეების გადაჭარბება, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, არ არის მოსალოდნელი.

დოკუმენტის თანახმად, ობიექტზე წყლის მოხმარება ხდება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის, რისთვისაც წყალმომარაგება ხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან. ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლები ჩაედინება ბეტონის ამოსაწმენდ ორმოში, რომლის ჩართვაც მოხდება ქალაქის საკანალიზაციო სისტემაში (აღნიშნულ უბანზე მიმდინარეობს ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის მოწყობა). ტერიტორიაზე შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების შეკრების მიზნით მოწყობილია შემკრები არხები და სალექარი, ხოლო სანიაღვრე წყლები ჩაედინება ქ. ფოთის სანიაღვრე სისტემაში. ობიექტის ტერიტორია მობეტონებულია, ხოლო ნავთობპროდუქტების გასაცემი სვეტი განთავსებულია გადახურულ, ფარდულის ტიპის ნაგებობაში, შესაბამისად, სანიაღვრე/გრუნტის წყლების ნავთობპროდუქტებით დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ობიექტზე წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენები, რომელთა შეგროვება ხდება სეპარირებულად, სპეციალურ კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანა ხდება ადგილობრივი მუნიციპალური სამსახურის მიერ, ხოლო სახიფათო ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ობიექტი არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიის სიახლოვეს, სადაც გავრცელებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ნავთობპროდუქტების საცავი განთავსებულია მობეტონებულ ტერიტორიაზე, სადაც არ არის წარმოდგენილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, მცენარეული საფარი და ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული საქმიანობით გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავიდან 500 მეტრიან რადიუსში მსგავსი საწარმოო ობიექტ(ებ)ი არ ფუნქციონირებს, შესაბამისად, საქმიანობა არ არის დაკავშირებული კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის მასშტაბის, სპეციფიკის, საპროექტო პარამეტრებისა და საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ფოთში, ფალიაშვილის ქ. №6-ში შპს „ესპერანსის“ ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ესპერანსი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ესპერანსის“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ესპერანსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ფოთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო